| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


## ახალი ამბავი

*** 6 ამ თთვისას, ნაშუადღევის სამს საათზე, როგორც მოხსენებული იყო, ტფილისის საგუბერნიო საპატიმროდგან, რომელიც ორთაჭალაში იმყოფება, გაიქცა ორი ტუსაღი, დიმიტრი მუდროვი და თევდორე სიდოროვი, რომელთაც ციხეში მძიმე სამუშაო ჰქონდათ დაკისრებული. ამათ იცოდნენ ხელობა და ამიტომ ციხის სახელოსნოებში ამუშავებდნენ. ეს სახელოსნოები, ციხეში რომ შეხვალთ, მარჯვნივ არის, მეორე ეზოში, რომელიც სხვა ეზოებისაგან გაყოფილია მაღალის კედლით. ამ ეზოში შესავალშივე ეკკლესიაა და იმის უკან სახელოსნოები; ამათ გვერდზე, კუთხეში, აღმოსავლეთისკენ ფეხის-ადგილია, კრამიტით დახურული. აქედგან შესაძლოა კაცი კედლიდგან მინდორში გადახტეს, სადაც ციხის ახლო ხევი მიდის კრწანისიდამ მტკვრამდე. ამ ხევში თუ მტკვრისკენ წავა კაცი, უნდა გაიაროს ხიდ ქვეშ, რომელიც ერევნის გზატკეცილზე არის და სადაც სდგას პოლიციის მოხელე. ეს მოხელე უსათუოდ შეამჩნევდა გაქცეულს ტუსაღებს, თუ რომ მტკვრისაკენ გაქცეულიყვნენ. რადგანაც ციხეს მაღალი და განიერი კედელი არტყია, დღისით ფეხი-სალაგთან შიგნიდგან ეზოში და გარედგან, მინდორში, ჩრდილოეთის კედლის სიგრძეზე არ უყენიათ მცველნი. ამის წყალობით მუდროვსა და სიდოროვს გასაქცევად ამოურჩევიათ ნაშუადღევი, როდესაც ამ სახელოსნოების მუშებს სულ სძინებიათ სიცხის გამო,—ფეხის-ადგილის ერთს კუნჭულში დაუკრავთ დიდი ლურსმანი ფეხის დასადგმელად, აქედგან, როგორც გამომძიებელი ჰფიქრობს, გადაუდგამთ ნაბიჯი თახჩაში, რომელიც ფეხის-ადგილის თავზეა, აუხდიათ ორი კრამიტი, აპარულან ბანზე და აქედგან გადამხტარან მინდორში და დამალულან. ტუსაღის საცმელები გაუხდიათ და მარტო პერანგის ამარა გაქცეულან კრწანისისკენ ხევ-და-ხევ, თორემ, სხვა გზით რომ გაქცეულიყვნენ, საპატიმროს მცველი, რომელიც კარებთანვე სდგას საპატიმროს შესავალშივე გარედგან, შეამჩნევდა ტუსაღებს. პოლიცია დაეძებს ამ ტუსაღებს, ხოლო ჯერ-ჯერობით-კი იმათი კვალი ვერ აღმოუჩენია.

*** ორშაბათს, ამ თთვის 10, ღამე, ვერაზე, ოლგას ქუჩაზე, პაულენკოს სახლს პირდაპირ, პირველს განყოფილებაში, იპოვეს მიგდებული ყმაწვილი სამის თთვისა. ყმაწვილი გაგზავნეს საბებიო ინსტიტუტში.

*** კვირას, 9 ივლისს, ანჩხატის ტაძართან ტფილისის მოქალაქეს სარქის მადათოვსა და ვიღაც დანიელ ალფუხოვს მოუვიდათ ჩხუბი. ჩხუბის დროს ალფუხოვმა აგურის ნატეხი დაჰკრა მარჯვენა საფეთქელში სარქის მადათოვს და დასჭრა.

*** ამას წინად რაჭის მაზრის მცხოვრები თომა სხირტლაძე შუაბაზარში შეუვარდა მესაათე ტიგრან ხუციევს და ოქროს საათი მოსტაცა. სხირტლაძე ვანო მადათოვმა დაიჭირა და პოლიციამ გამომძიებელს ჩააბარა. ორშაბათს, 10 ამ თთვისას, სხირტლაძე პოლიციელს მიჰყავდა მეტეხის ციხეში, მაგრამ ხელიდგან გაუსხლტა, გაიქცა და დღემდე ვერ უპოვიათ.

*** მამა ანტონის მონასტრის გზა, როგორც ბევრს მოეხსენება, ვერ არის კარგი და ბევრს ალაგს გაფუჭებულია. ამ გზაზე შეუძლებელია მოგზაურობა, ერთი ბეწო წვიმა რომ მოვიდეს. მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ეგზარხოსმა პალადიმ, მიაქცია ყურადღება და მარტყოფელებს აცნობა ეს გარემოება. სოფელმა იკისრა გზის გაკეთება და კიდეც უნდა შესდგომოდნენ გზის გაკეთებას სოფელ ნორიოსა და მარტყოფზე, მაგრამ ეხლა სოფლელებს სრულიად არა სცალიანთ და ამიტომ ეს საქმე გადასდეს შემოდგომამდე.

*** დღემდე საკმაოდ გამორკვეული არ იყო, ნება აქვთ თუ არა მღვდლებსა და იმათ მემკვიდრეებს თავიანთი სახლები გაჰყიდონ, რომლებიც საეკკლესიო მამულზეა აშენებული. ეხლა საეკკლესიო მთავრობას ამის შესახებ შემდეგი განკარგულება გამოუცია: სოფლის მღვდლებს, როცა სხვა მრევლში გადადიან, და ამათ მემკვიდრეებს აღეკრძალებათ ხსენებული სახლები გაჰყიდონ ხოლმე, ვითარცა საეკკლესიო მამულის კუთვნილებაო.

*** ამ საშინელს სიცხეში ოთახში ძილი ნამდვილი წამებაა, ხოლო საბრალო ტფილელთ მეორე და მესამე სართულში არ შეუძლიანთ ღამ-ღამობით გააღონ ფანჯრები ქურდების შიშით. მაგალითად, ელისაბედის ქუჩაზე, კუკიაში, იაკუბოვის სადგომში (№ 107), შესულან ქურდები და დაუხვეტნიათ, რაც რამ ხელში მოხვედრიათ, ფულის ვექსილები, ტანისამოსი, თეთრეული და სხვა. ქურდებს კარი არც გაუტეხიათ და არც გაუღიათ, არამედ კედელ-კედელ აბობღებულან მეორე სართულამდე ქუჩიდგან და ღია ფანჯრიდგან გადასულან სახლში. გამოსვლით-კი კარებით გამოსულან.

*** სოფ. ქისტაური (თელავის მაზრა): აქ პურის მოსავალი კიდევ არის რამე, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სიმინდის მოსავალი ვერ მოსდევს თანა და ჩვენს გლეხს სიმინდი თუ არ მოუვა, მარტო პური ხომ ვერას უზამს. მეტის-მეტად შეგვაწუხა უავდრობამ და გვალვამ; საშინლად დასკდა დედამიწა, ხვნას სულ თავი დაანებეს, რადგანაც დედამიწას სახნის-საკვეთი ვერ უვლის. შარშან ღვინობისთვიდგან დაწყებული აპრილამდე საქონელი ბოსლებში იყო დაბმული. და, რასაკვირველია, ამასთანა ზამთარში დიდ-ძალი საკვები მოუნდა საქონელს; ფუჩეჩიც ბევრი იყო და ბზეც, მაგრამ მაინც კიდევ დააკლდა ბევრსა და, ვისაც დააკლდა, საქონელიც ძალიან დაუზარალდა. თუ ამოდენა საკვებავით თავი ვერ გავიტანეთ, წელს რას უნდა მოველოდეთ, გოლვა თუ დაიჭირა და სიმინდი თუ არ მოგვივიდა.

*** სოფ. იყალთო: თიბათვის 30-ს აქ მოვიდამაზრის უფროსი. დაბარებული ჰყავდა მთელის მაზრის მამასახლისები ხუთ-ხუთის კაცით. ამათ მაზრის უფროსმა გამოუცხადა, რომ ქაღალდი შემოიტანეთ, როგორი მოსავალია პურისა, ქერისა და რა ყოფაშია ვენახებიო. იყალთოს მამასახლისს დაავალა წარადგინოს ენკენისთვისათვის ორთითები, გუთნები და იმათი ოსტატები; ქისტაურის მამასახლისს დაავალა პური, ხორბალი და სხვა. ყოველივე ესე ტფილისს უნდა გაგზავნონ სამეურნეო გამოფენაზე.

*** გაზეთ «კავკაზს» შეუტყვია, რომ მოსკოვიდგან ტფილისს მოაქეთ

## ფელეტონი

### ცხოვრების წვრილმანები

საქმის პატრონი*)

(შვედურიდამ)

ამავე საღამოს მოხუცებულმა მამამ თითქო იგრძნო, რომ ოლგას გული აღელვებული ჰქონდა, დაუძახა, ნიკაპში ორი თითი მოჰკიდა და თვალებში დიდხანს ჩააჩერდა.

— ოხ, საწყალო!—ამოხვრით და დაბალის ხმით წაიბუტბუტა მოხუცებულმა.

— რა არის?—აკანკალებულის ხმით ჰკითხა ქალმა.

— საწყალო! — გაიმეორა მამამ, უიმედოდ ჩაჰკიდა თავი და ხელი გაუქნია ქალიშვილს, რომ გამშორდიო.

მთელი ღამე ოლგა აღელვებული იყო, რაღაც ახალმა, მალულმა გრძნობამ გაიღვიძა იმისს გულში, ექიმის ლაპარაკი ძნელი გამოსაცნობი იყო, მამის სიბრალული უფრო ძნელი, და ამავებმა-კი ძილისაგან გამოაფხიზლეს. მართლაც რა არის ცხოვრება? რა არის ეს „წვრილმანები", რომელზედაც ექიმი ემუსაიფებოდა?

იმას მოაგონდა თავისი ქალწული მამიდა. ნადეჟდა მოწერილ წერილებში ცხოვრებას-კი არ უჩიოდა, არამედ იმ გაჭირებას, რომელიც საქმიანობაში ხელს უშლიდა. მაგრამ ეს გაჭირება ცხოვრების გარეშე ძნელად წარმოსადგენი იყო. კიდეც ამასთან ომი აძლევდა სიცოცხლესა და მხნეობას. ესეთი დასკვნა გამოდიოდა მამიდას მოწერილ წერილებიდამ. მამიდა თავს მუდამ იმითი იმართლებდა, რომ ყელამდე საქმეებში ვარ ჩაბმული და წერილს მალ-მალ ვერა გწეროო. რატომ არ გაუგონა მამას და არ წავიდა მამიდასთან? შეიძლება რამე საქმესთვის ხელი მოეკიდა, შეიძლება ნადეჟდასთან რამე გონების საზრდო ეშოვნა და ასე უქმად არა ყოფილიყო? ეს ცუდაობა სულსა და გულს ულონებდა.

მამიდას საქმიანობაც წვრილმანების გარდა არა-რას წარმოადგენდა, ექიმმა რომ სთქვა...

მეორე დღეს იმან გამდელს ჰკითხა:

— არიან ჩვენ სოფელში ღარიბები?

— ღარიბები როგორ არ არიან!

— ცუდად სცხოვრობენ?

— გაჭირებულის კაცის ცხოვრება აბა როგორი იქნება?

— მაგალითად, რას სჭამენ?

— რასა სჭამენ და შავს პურსა. ვისაც ძროხა ჰყავს, თითო ბეწო რძესაცა სმენ.

— ავადმყოფებიც არიან სოფლად?

— ავადმყოფებიც სამყოფია. ივანე ხუროს აგერ ორი წელიწადია მუცელსა ჰგვრემს. რაღაც ბოძი აუწევია და ჭიპი ჩავარდნია.

— ნუ თუ ისიც მჭადსა და ლობიოსა სჭამს?

— მაშ რას იზამს! რასაც სხვები სჭამენ, იმანაც ის უნდა სჭამოს. პური ციდამ ხომ არა სცვივა. წელი ველარ წამოულია.

— ექიმს აჩვენეს?

— ექიმი სად არის ღარიბ ადამიანისთვის,—გაჯავრებით უპასუხა აბეზარს მოსულმა.

— მე, გადია ჩემო, წავალ ივანეს სანახავად,—გადაჭრით უთხრა ოლგამ.

— ერთი მითხარი, რა გინდა? „ღმერთმა მოგცესო?" ეს იმან შენზე უკეთ იცის.

— არა, მე ვკითხავ, ეგებ რამე უნდა.

— დაანებე თავი! ნახე გარეთ როგორი სუსხია! არ გაცივდე, აგერ იყავი, ის ემჯობინება, რაში მოგაგონდა ახლა იმისი ნახვა?

— არა, მე მაინც წავალო, და ოლგა წავიდა კიდეც.

იმისმა ფაცხაში მისვლამ ყველა გააოცა. მაგრამ ის გაბედულად შევიდა და ივანე იკითხა. ფაცხაში საშინელი მძიმე ჰაერი იყო და საძაგელი სუნი იდგა. მიუთითეს ტახტზე და ტახტთან რომ მივიდა, ადამიანის სხეულის ჩონჩხი დაინახა, რომლის გულიდამაც კვნესა ამოდიოდა.

— ავადა ხართ?—ჰკითხა ოლგამ და ამ სიტყვების უადგილობას ვერ მიხვდა.

ავადმყოფმა გადმოპარაწა თვალები და სტუმარს მიაჩერდა.

— აგერ მესამე წელიწადია, რაც ზეზე არ ამდგარა,—უპასუხა იმის ნაცვლად ცოლმა:—წინად დღე და ღამ განუწყვეტლად ყვიროდა, ასე რომ მოსვენებას არ გვაძლევდა, და ახლა-კი დაწყნარებულია.

— აბა უკეთ გამხდარა?

— უკეთ-კი არა და ყვირილის არაქათი აღარა აქვს.

— რას აჭმევთ?

— რასაც ჩვენა ვჭამთ, მაგასაც იმას ვაჭმევთ, მაგრამ რომ არაფერსა სჭამს.

— თუ გინდათ, მაგისთვის „ბულიონს" გამოგიგზავნით, ხორცსაც.

— ხორცი კიდეც აწყენს, სულს შეუხუთავს. აი ხარშო... ივანე, ივანე! ბატონის ქალიშვილი მობრძანდა და ჰკითხულობს, ხარშო ხომ არ გინდაო?

— არ... მინდა...

— არა, მე მაინც გამოუგზავნი, შეიძლება უკეთ გახდეს. ექიმს მოველაპარაკები, ჰნახავს, დარიგებას მოგცემთ, გეტყვით, რით არის ავად.

დარბაზობა გაათავა. შინისკენ რომ გამობრუნდა, ცოტათი შერცხვა. რა შეჰპირდა?.. „ხარშო!" მაგრამ ის „ხარშოც" რაღაც ეჭვით მიიღეს. რიგიანად ვერა გამოჰკითხა-რა, ვერაფერი დახმარება ვერ აღმოუჩინა. გული-კი ეტკინა, იმიტომ-რომ ახლოდგანა ნახა ნამდვილი ტანჯვა, ნამდვილი მწუხარება, ნამდვილი გაჭირება. იმ წამსვე განკარგულება გასცა, რომ ივანესათვის ერთი ჯამი ხარშო, მოხარშული ხორცი და თეთრი პური გაეგზავნათ.

— ეს რაღა მოიგონაო?—ჰკვირობდა გამდელი.

— შენი ჭირიმე, გადია, გეხვეწები!

— გრცხვენოდეს, ქალბატონო! იქ გასაგზავნი ხორცი სად არის? ხორცისთვის კაცს ქალაქში ვგზავნით ხოლმე. თეთრს პურს ჩვენთვისაც ვერ ვიმეტებთ და ბატონებისთვის ვინახავთ.

— გაუგონეთ ოლგას, რასაც გიბძანებთ, მოისმა მოხუცებულის ლაგოდინის ხმა, რომელმაც ორის ოთახის იქით ყური მოჰკრა ქალისა და გამზრდელის ლაპარაკს.

ბრძანება აუსრულეს. ოლგამ მეორე დღეს გაიმეორა თავისი თხოვნა და დარწმუნდა, რომ ერთი და იგივე სათხოვარი ყოველ დღე უნდა მოეგონებინა, თორემ ივანე უიმისოდ არავის გაახსენდებოდა. ექიმი რომ მოვიდა, ოლგამ ავადმყოფთან წაიყვანა. ექიმმა გასინჯა სნეული და განაცხადა, რომ უიმედო ავადმყოფია და ის საშუალება, რომელიც მაგას არგებს, ხელთ არა მაქვსო. იმან სენის სახელიცა სთქვა, მაგრამ ოლგამ ვერა გაიგო-რა. ამის შემდეგაც აგონებდა გამზრდელს „ხარშოს" გაგზავნას, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ იმისს ბრძანებას არ ასრულებდნენ. მაშინ დაწყნარდა.

ორ კვირას შემდეგ ახლა ესა ჰკითხა თავის გამზრდელს:

— არიან სოფლად გოგოები, რომ სწავლა უნდოდეთ? ასე ოთხი, ან ხუთი გოგო...

— უნდა ასწავლო?

— ჰო, ვაპირებ.

— გინდა აქაურობა გააბინძურონ და წაბილწონ?

*) იხ. „ივერია", № 145.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ-ძალი სამეურნეო იარაღები იქაურის ფირმებისაო. ამ იარაღებს გამოსცდიან მუშტაიდის ახლოს, ალექსანდერსდორფის მახლობლად. ზოგს ისეთს იარაღს ჩამოიტანენ თურმე, რომელიც სრულიად უცნობია აქაურ მეურნეთათვის.

*** 10-ს ამ თვისას ვერაზე თავი მოუწამლავთ ოპიუმით ერთს სტუდენტს ლ—იჩს და ერთს ქალს ბ—ოს, მაგრამ დროზე მიშველებიან და სიკვდილს გადაურჩენიათ. როგორც „ახალი მიმოხილვა“ იუწყება, მიზეზი ამ უბედურებისა იქვე ყოფილა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

დუშეთი. დღეს, მკათათვის 10-ს, დილის 9 საათზე, დუშეთში ერთი ისეთი უბედურება დატრიალდა, რომ მთელი ქალაქი შეაძრწუნა. ერთი კარგად მოსული და ყოჩაღი ახალგაზდა ვაჟკაცი, სულ 28 წლისა, დაიტანა ძველის ციხის კედელმა, რომელსაც ამ ჟამად ყაზარმებისათვის ანგრევენ. აი ეს საქმე როგორ მოჰხდა: კედელი, ქვევიდგან შუაში გახვრეტილი იყო, მხოლოდ ორივე გვერდიდგან-კი ისევ კედელზედ იყო მოკიდებული, როდესაც ერთ გვერდიდგანაც მოაშორეს, მაშინ მარტო ცალი გვერდიდგან-ღა ეჭირა, მაგრამ მაინც კიდევ არა ვარდებოდა. ის საცოდავი ავიდა მოჭრილს კედელზედ და სცდილობდა ჩამოეგდო ის კარგად მოზრდილი კედლის ნაწილი, რომელსაც ძირი გამოთხრილი ჰქონდა. კედელი ისე მოიგლიჯა და წამოვიდა, რომ ვერც იმ უბედურმა გაიგო და ვერც იმისმა ამხანაგებმა, რომლებიც იქვე იდგნენ გვერდზედ. კაცი უფრო ადრე ჩამოვარდა ძირს და მერე თან მოჰყვა უზარმაზარი კედლის კუნძი, დაეცა ზემოდგან და ხმის ამოღებაც არ დააცალა. მაშინვე დიდძალი ხალხი მოგროვდა ქვის ასაწევად და საშველად, მაგრამ გვიან ღა იყო. მკვდარი კაცი რის ვაი ვაგლახით ძლივს გამოაცალეს ქვევიდგან. საცოდავი სოფ. ქერანიდგან იყო. საბრალოს დარჩა ახალგაზდა ცოლი, ღრმად მოხუცებული, 80 წლის დედა და ერთიც გაუთხოვარი და, იგი იყო ერთად-ერთი მამაკაცი მთელს სახლობაში, რომელიც ისე ღარიბი აღმოჩნდა, რომ დასაფლავების ღონისძიებაც არა ჰქონდა. დუშეთში ფული მოუგროვეს, რომ დაასაფლავონ და თან საცოდავსა და წყალ-წაღებულს იმის სახლობას ცოტაოდენის დროს საზრდო მაინც მისცენ. ასე და ამ გვარად საცოდავი კაცი ასეთის უხერხულისა და ბრიყულის მუშაობის მსხვერპლი-კი შეიქმნა და ამოდენა სახლობა ყელ-გამოჭრილი დარჩა.

ციხის კედლები ისე რომ ენგრიათ, როგორც წინად დაიწყეს, თითიც არავის წავარდებოდა. წინად ზემოდგან მოჰყვნენ ნგრევას და ძირამდე დავიდნენ, მაგრამ შემდეგ ერთმა მუშის დასტამ ერთი კოშკი ძირიანად დაანგრია: გამოუთხარეს ძირი და კედელი მთლადვე დასცეს ძირს. ესეთს ნგრევას მიჰყვეს თუ არა ხელი, ყველა მაშინვე გაიძახოდა, რომ რაიმე უბედურებას მოახდენენო, მაგრამ ნამდვილი დამშლელი და აღმკრძალველიკი არავინ არ აღმოჩნდა. რადგან ამათ ყური არავინ ათხოვა და კედელიც მალე ინგრეოდა, ამიტომ ყველამ ამ რიგად დუწყო ნგრევა, რომ აღებულს საქმეს მალე მოვრჩეთ და მოსულს ჭირნახულსაც დროზედ მივეშველნეთო, თავის შენახვა და უბედურებისაგან დაცვა-კი ავიწყდებოდათ.

ეხლა, იქვე ერთი უზარმაზარი გვერდებ-მოთხრილი კეთილი სდგას, რომელიც ყველა გამვლელსა და გამომვლელს თავ-ზარსა სცემს: ან ახლა წამოვა და ქვეშ მოიყოლებსო, ან ახლაო. ეს საცოდავი მუშები-კი შემძვრალან ქვეშ და ურტყამენ რკინის კეტებსა და წერაქვებს. ნუ თუ არავინ არის მოვალე თვალ-ყური ადევნოს მუშაობას და რიგისამებრ დაანგრევინოს ეს ციხე. ტეხნიკი ხომ კარგა ხანია დუშეთში სცხოვრობს და ჯერ ჯერობით სხვა საქმე არა აქვს რა. ისიც გასაკვირველია, რომ მუშებს ზედამხედველი არა ჰყავთ.

ამ ციხისა და ყაზარმების საქმე თავიდგანვე უკუღმართად დატრიალდა. ეხლავე ეტყობა, რომ ბევრი მოიჯარადრე იტირებს მარცხენა თვალით, მაგრამ მარცხენას ვინ-ღა დაეძებს, თუ მარჯვენასაც იგივე არ მოუვიდა. ყველანი ეხლავე წუწუნებენ: იაფად ავიღეთ და ძვირად გვიჯდებაო. საცოდავი გლეხები დასდევენ უკან ფულისათვის მოიჯარადრეებს და ესენიც კომისიის ხაზინადარს, რომ ფული მიიღონ, რომელიც კარგა ხანია რაც აღარ დაჰრიგებიათ, თუმცა წინად ისე ჰქონდათ გამოცხადებული კომისიისაგან, რომ ვინც რამდენს მასალას ჩააბარებდა, იმას მაშინვე უნდა მიეღო ღირებული ფასი, თუნდა კვირიდგან კვირას, და აგერ თვეზედ მეტიც არის, რაც ბევრს კაპიკიც არ მიუღია. გლეხის გაჭირებული დროც ახლაა! ჭირნახული შემოვიდა, მუშისათვის ფული უნდათ და არამც თუ მუშა ვერ დაუჭერიათ, არამედ თითონაც-კი სცდებიან და მოგებულს ფულს დასდევენ უკან. მიღებით-კი მიიღებენ და არ დაეკარგებათ მაგრამ: „ხვალე, ხვალე“-ს ძახილი-კი ყელებს სჭრის და წლის საზრდო უფუჭდებათ. აქამდე ცოტ-ცოტას რასაც იღებდნენ, ისიც დღიურს საზრდო ფქვილში ეხარჯებოდათ ხოლმე.

N. N.

## წერილი რედაქციის მიმართ

კავკაველ ქართულის სკოლის კომიტეტმა 2 ამ მკათათვეს გამართა სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრითურთ. დარი დაგვიდგა ძალიან კარგი და საზოგადოებამაც დიდი თანაგრძნობა აღმოგვიჩინა. სულ მოგროვდა 1464 მ. 31 კ. აქედგან დაიხარჯა: 1) სალატარიო ნივთების სასყიდლად 151 მან, 2) განათება ბაღისა და ბენგალის ცეცხლი ცოცხალის სურათებისათვის—50 მან., 3) ბაღის დაცვა, გუშაგი, მოსამსახურეები და სხ. 37 მან., 4) მუსიკა და მომღერალი ხორო—30 მან., 5) აფიშების დაბეჭდვა და ტანთ-საცმელების ქირა—10 მან. 50 კაპ., 6) სცენის გამართვა და იმისი მოფარდვა ცოცხალის სურათებისათვის—107 მან. 20 კაპ., 7) მუშხუნები—12 მან., 8) ღვინო, ლუდი და სხვა სასმელები—50 მან. და 9) სხვა-და-სხვა წვრილმანი ხარჯი—49 მან., სულ დაიხარჯა 500 მან. 70 კაპეიკი. დარჩა სკოლას ნაღდი—963 მან. 61 კაპ.

კომიტეტმა თავის ვალად სცნო და მოახსენა დიდი მადლობა ყველას აქაურის რუსულის გაზეთის საშუალებით, მაგრამ ამას ვერ დასჯერდება და ჰსურს, რომ ქართველობამაც გაიგოს იმათი გვარი, ვინც ასეთს ძმურს შემწეობას გვაძლევს აქ გადმოკარგულს ქართველებს. ამისათვის სთხოვს „ივერიის“ რედაქციას გამოუცხადოს გულითადი მადლობა, როგორც სალატარიო საგნების ჩუქებისათვის, ისე სხვა შემწეობისა და დახმარებისათვის. ალდადანოვს, აკოფოვს, აბულოვს, ოთაროვს, რიზა ასლანოვს, აფრიამოვებს, ათაბეგოვს (ცოლსა და ქმარს), ანდრეიევს, ატუევს, ავეტიქოვს, ალექსიევ-მესხიშვილს, ათაბეგოვს (ისაკას), ბარბაშევსკის, ბაქრაძეს, ბაინდუროვს, ბადუროვს, ბექანოვს, ბედოშვილს, ბატაევს, ბუზილოვს, ბუხალოვს, ბედელაძეს, ბაიჩევსკის, გოზალაშვილებს ორთა ძმათა, გრიგოლაშვილს, გაბაშიძეს, გუდაშაურს, გვარამაძის მეუღლეს (ელენე სოლომონის ასულს), გეიტენს, გუბნელაშვილს გრეჩანოვსკის, დალგატს, დეკარხანოვსა, ჯაფარიძეს, ინაევის მეუღლეს, ქურულის მეუღლეს ინასარიძეს, ევანგულოვს, იეგოროვს, ზირაქოვს, ზალინოვს, კოკიევის მეუღლეს, ყაზარაშვილს, კახიძეს, კალოუბანსკის, კანუკოვებს ორთა, კარახანოვს, კოფშტალსა, ქაჯაიანცსა, ყაზარაშვილს, ა. ი. კნაპპსა, კირაკოზოვს, კოცსა, ლაგაზაშვილსა, ლუკიანოვსა, ლეკაროვებს (ცოლ-ქმარს) ლადიჟინსკისა, მარკოზოვსა, მოზდოკელაშვილსა, მაღლაშვილსა, მოსესოვს, მამულოვს, ი. პ. მამულოვს, ნ. პ. მნკოვსკისას, მაქსიმოვს, მარუშენკოს, მედვედიევს, მაზანოვს, ნიკიტინისას, ნოვიკოვებსა, ნიკიტინსა, ნუსსა, ნარიმანაშვილსა, ოსიპოვსა, ოჰანოვსა, ოტიევ'ა, არლოვისასა, პოლკოვნიკოვისასა, პაპოვსა, პოლოზსკის ქალებსა, პრჟევალსკისასა, ფურცელაძეს, პროცენკოსა, ფირალოვსა, პოდაგოვსა, პისარევის მეუღლესა, პროხასკოსა, რაკოვიჩისას, რაკოვიჩს, რუდნიევებს ცოლ-ქმარსა, როზენტალსა, სიტოვს, სალავიოვსა, საევეროვსა, სომხიევსა, სიმონოვსა, სამადოვის ასულს, სერ-

---

— ოჰ, გადია ჩემო, რა შეუბრალებელი რამა ხარ!

— მოვლენ შენს ოთახში, დასვრიან, დათითხნიან აქაურობას და მე უნდა ვსწმინდო, ბუტბუტებდა დედაბერი.

— სხვები დაჰგვენ, თუნდა თითონ მე... შენი ჭირიმე! ვიცი მამას იამება, საქმიანს რომ მნახავს.

ამ გზობით გამდელი აღარ ეურჩა, რადგან ეშინოდა, რომ ლაპარაკში ბატონი არ გარეულიყო. ორმა დღემ გაიარა და სამი გოგო მოვიდა, სამნივე კლასის კარებთან გაჩერდნენ, ირგვლივ მორიდებით თვალებს აფაციცებდნენ და ბოლოს ოლგას მიაჩერდნენ. სიცივით ცხვირები დასწითლებოდათ და ერთმა მათგანმა, თითქოს გამზრდელის ნაწინასწარმეტყველევის ასასრულებლად, ცხვირი ხელით მოიხოცა.

— მოდით, ნუ გეშინიანთო! გაამხნევა ოლგამ.

გაიმართა ყოველ დღე სწავლა. რადგან ოლგას ძალიან გულით უნდოდა სარგებლობა მოეტანა, საქმე კარგად წავიდა.

პატარა ხანი გამოხდა და ოლგამ შეამჩნია, რომ მღვდლის ცოლი როგორღაც უკმაყოფილოდ იყო იმაზე. აღმოჩნდა, რომ, რადგან სოფელში სკოლა არ იყო, მღვდლის ცოლი ცოტაოდენის სასყიდლით გოგოებს იყვანდა და შინ ასწავლიდა. რაღა თქმა უნდა, ოლგას ატეხილმა საქმემ იმას მუშტარი დაუფრთხო.

— ის თავისის შრომით ოჯახს ინახავს და შენ-კი იმას პირიდამ ლუკმას ართმევო, უთხრა გამდელმა..

წინანდებურად ოთახ-ოთახ ხეტიალს მოჰყვა, დასევდიანებული მარტოდ-მარტო იჯდა და საათის რაკა-რუკს უგდებდა ყურს. სადაც უნდა წასულიყო, მარტოობა სულ თან დასდევდა.

საშობაოდ ვასილ ლაგოდინთან ერთი ნაცნობი მომრიგებელ-მოსამართლე მოდიოდა ხოლმე. ეს ქალაქის სიმხიარულესა და დროს გატარებაზე ლაპარაკობდა, რომ იქ მდგომი ჯარი ზამთრობით სახლს ჰქირაობს და საცეკვარ საღამოებს ჰმართავს, რითაც ძალიან სიამოვნებენ მცხოვრებლებიო. ერთხელ ლაპარაკი ჩამოაგდო ერობასა და მაზრის უფროსს შორის ატეხილ უკმაყოფილებაზე და კიდევ იმაზე, რომ ერობა გადასახადს ვერ აგროვებს და ქალაქის მმართველობის წევრების და მომრიგებელ-მოსამართლეების ჯამაგირები არა გროვდებაო. ამბობენ, ვითომც ერობა სულ უნდა გადავარდეს და კარგიც იქნებაო, დასძინა მან, მაგრამ ვასილ ლაგოდინმა აღარ დააბოლოვებინა და სიცილით უთხრა:

— ნუ გეშინიანთ, თქვენი ჯამაგირი არ მოგაკლდებათ. თავისს დროზე მიიღებთ, იმიტომ-რო დარჩენილს ფულს არავის შეარჩენენ და უფრო მალე მოაგროვებენ.

ბოლოს მსაჯულმა ოლგა ქალაქში მიიპატიჟა და თავისის ცოლის გაცნობას დაჰპირდა. მართლაც, ერთი გზობა ოლგა ქალაქში წავიდა და მსაჯულის ცოლი ძალიან მეგობრულად შეხვდა. ისინი საღამოს „ბალში“ ერთად წავიდნენ, მაგრამ იქ იმდენი ხალხი იყო და ისე ცხელოდა, რომ ოლგას თითქმის მისვლისათანავე თავი ასტკივდა. ამასთანავე მთელი საღამო თითქმის მარტოდ-მარტო იჯდა და არავინ ეკარებოდა იმ მიზეზის გამო, რომ უცნობი იყო. მთელი საღამო მსაჯულის ცოლის ხელთ დარჩა და უიმისოდ ცეკვა არა ყოფილა. ოლგა ექიმს ათვალიერებდა, მაგრამ საცეკვარს დარბაზში არ იყო. მის ნაცვლად ერთი მაღალ-მაღალი, გამხდარი ქალი აჩვენეს, რომელიც განმარტოებით იჯდა, და უთხრეს: „აი ჩვენის ექიმის ცოლიო!“

რამდენსამე ხანს შემდეგ ეს გამხდარი ქალი მოვიდა ოლგასთან და თამამად გამოეცნაურა:

— ჩემი ექიმი თქვენთვის გიჟდება. სულ ამას გაიძახის, ჩემი ოლგა და ჩემი ოლგაო.

— სალაპარაკოდ მე ის ერთის მეტად არ მინახავს,—უთხრა ოლგამ და გაწითლდა.

— ლაპარაკი ლაპარაკს გააჩენს! ხანდახან ერთის ლაპარაკით ყოველიფერს ათავებენ! ოლგა ადგა და მეორე ადგილას გადაჯდა.

— აწი მოგივათ... უცადეთ! — გესლიანად მიაძახა ექიმის მეუღლემ

ამ ამბის შემდეგ ოლგას თავი უფრო ასტკივდა, ამისთანა დროს გატარებამ გული უფრო შეუწუხა.

— ალბად დროს გატარებასაც მიჩვევა უნდა, ჰფიქრობდა იგი, როცა სასტუმროში დაბრუნდა ტანისამოსის გამოსაცვლელად.

— მადლობა ღმერთს, ხომ გამხიარულდი!—მიეგება გახარებული გამდელი.

ექიმი ავადმყოფთან მაინც კიდევ დაიარებოდა. ეს იყო ერთად-ერთი ავადმყოფი მთელს მაზრაში, რომლისაგანაც სარგებლობა ჰქონდა, ასე რომ იმისმა კაპასმა ცოლმაც ველარ დაატანა ძალა, რომ ეს ავადმყოფი მიეტოვებინა, მაგრამ ოლგა წინანდებურად ლაპარაკის საპამს აღარ აძლევდა და ისიც გაჩუმებული იყო. როცა საჭიროება მოითხოვდა, ერთმანეთს მოკლე პასუხებს აძლევდნენ, დანიშნულს დროზე სადილობდნენ და გამომშვიდობების დროს ხელს ერთმანეთს მაგრად მოუჭერდნენ ხოლმე. დღიდამ დღეზე ეს მარტოობის სურათი, რომელიც მუდამ თვალ წინ ჰქონდა, ოლგას გულს უკლავდა.

ბოლოს დადგა მარტი და გულმა თავისუფლად დაუწყო ფეთქა. ზამთრის სუსხი ჯერ კიდევ იდგა, მაგრამ შუადღისას მზე ყველაფერს აცხოველებდა და სიცოცხლის შუქსა ჰფენდა. მერცხლებიც მოფრინდნენ და ჭიკჭიკით იქაურობას აყრუებდნენ. თოვლი ადგილ-ადგილს კიდეც აშრა, მარტის დამლევს ოთახი უფრო გასინათლდა და სიცოცხლე დაეტყო. მზის სხივები სარკმლიდამ ჯგუფად შემოდიოდა. ოლგა სიამოვნებით მისჩერებოდა მოელვარე მზის სხივებს და გულს აყოლებდა. აპრილის დამდეგს თოვლი ლანქერად გასკდა და წყლები ადიდდა.

მაგრამ ამავე დროს ტაროსი შეიცვალა. ცა დილიდამ საღამომდე შავშავის ღრუბლებით იყო მოკუპრული; გაზაფხულის სიო გაჰქრა, ხოლო ტაროსის გამოცვლამ ოლგა-კი არ დაალონა, პირ-იქით, უფრო გაართო. ბუნების კანონს ვერაფერი შეაფერხებს; ამ ხანს ყველაფერი ჰყვავის. დიდმარხვის უკანასკნელს კვირაში ოლგა ეზიარებოდა ხოლმე, იგი გულ-მხურვალე მორწმუნე იყო. მაგრამ ამ ჟამად გული ამოუჯდა აღსარებისა და ზიარების დროს თავი ვერ შეიკავა. თითონაც ვერ გაერჩია, ცრემლმა დაამშვიდა, თუ გული უარესად სევდით აავსო. ხანდახან ეგონა, რომ დამშვიდებული ვარო, მაგრამ ერთ წამს შემდეგ გული შეუღონდებოდა, თვალზე ცრემლი მოადგებოდა და შეუგნებლად იმეორებდა მამის სიტყვებს: „საწყალი ვარ, საწყალი, საწყალიო!“

აღდგომა დღესაც ესევე მოუვიდა, მაგრამ, რამდენადაც შეეძლო, თავი შეიმაგრა. ნაწირევს შინ რომ დაბრუნდა, მამას აღდგომა მიულოცა. ამ დღესასწაულის გამო მოხუცებულს თეთრი ქიშმირის ხალათი ეცვა და თავიდამ ფეხებამდე თეთრად ჩაცმული სუდარაში გახვეულს მკვდარსა ჰგავდა. შემდეგ მოსამსახურეებსაც მიულოცა, მღვდელი მიიღო და დაღალული დასასვენებლად წამოწვა, მაგრამ ძალად შემაგრებულმა ცრემლმა დენა თავისით დაუწყო, გული შეუწუხდა და ტირილს მოჰყვა. „საწყალო! საწყალო! საწყალო!“ უზზუოდა ყურებში, თავი უბრუოდა, ტანში ცეცხლი ედებოდა...

. . . . . . . . . .

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეევსა, ტერტეროვსა, ტერ-მოსესოვსა, ტერ-ოჰანეზოვსა, ტერ-არუთინოვისასა, ტულჩინსკისა, თამბულოვსა, ტუაევსა, ტერ-ზიევსა, თათუზოვსა, თეიმურაზოვსა, თათუზოვს უშერიძეს, ულუხანოვსა, ხეთაგუროვსა, ხუმაროვებს ორთავე, ხანზადოვსა, ხარჩენკოვსა, ჩაბანოვსა, ჩითაევსა, შაურს, შლინგოვსკისა, შავთვალოვსა, შეილევსა, შაბლოვსკისას, შარმაზანოვსა, ციციკოვსა და იარალოვსა.

ზემო მოხსენებულთაგან ალექსანდრა ივანეს ასულმა პოლკოვნიკოვის მეუღლემ თითონ პირადის დახმარების გარდა შემოგვაწია ფეხით სატრიალებელი საკერავი მაშინა და ექიმმა მაჰომედ მაჰომეტის ძემ დალგატმა, რომელიც მუქთად სწამლობს ქართულის სკოლის შეგირდებს, გვაჩუქა ორის წლის მოზვერი. ერთი კარგი ულაყი ცხენი თვით კომიტეტმა იყიდა. ცხენი მოიგო ყიზლარელმა ქართველმა, მიხეილ პავლეს ძემ ჯაფარიძემ, რომელიც მეორე დღესვე ჩაეწერა საზოგადოების წევრად და საწევრო ფული შემოიტანა ხუთი თუმანი, ე. ი. ის ფასი, რომელიც მიცემული ჰქონდა კომიტეტს ცხენში. სამივე ღმერთმა აშენოს!..

მ. ყიფიანი

ქ. კავკავი

## რუსეთი

გუბერნიის სეკრეტარი ნიკოლოოზ ვ—ნი ლანის სადგურზე იყო თურმე და ელოდა პეტერბურგის მატარებლის გამოვლას, რომ სახლში წასულიყო, შუვალოვოს. უთხრეს, რომ მატარებელი საათ-ნახევარს შემდეგ მოვაო. ამდენს ხანს ლოდინი არ უნდოდა თურმე, მით უფრო, რომ დიდის ხნის პურ-უჭმელი იყო და ჰშიოდა. მეეტლემ ჯერ მანეთი სთხოვა, მერე სამი აბაზი, და იმას-კი ამდენის ფულის მიცემა არ უნდოდა. აქ ბ-ნ ვ—ნთან მივიდა ვიღაც მართებულად ჩაცმული ყმაწვილი ქალი და ჰკითხა:

„— ეტლი გინდათ იქირაოთ შუვალოვამდე?

„— დიაღ.

„— მეც იქ მინდა წასვლა და მატარებელს-კი დიდხანს უნდა ლოდინი. გნებავთ სანახევროდ დავიქიროთ ეტლი?

„— დიდის სიამოვნებითაო, უპასუხა ვ—ნმა: აი აგერ მეეტლეც აქ არის, რომელიც სამ აბაზს თხოულობს.

ჩასხდნენ ეტლში და მიდიან. გზაზედ ორივენი ჩუმად იყვნენ და კრინტიც არ დაუძრავთ. სალაპარაკოც არა ჰქონდათ-რა, უცნობნი იყვნენ და ამიტომაც ჩუმად ისხდნენ. აგერ შუვალოვოც გამოჩნდა. გზა-ტკეცილის ორივ მხარეზედ აგარად გასულნი ქალნი და კაცნი დასეირნობდნენ. უეცრად ერთის სკამიდგან წამოხტა ვიღაც ზორბა ქალი, მივარდა ეტლს, რომელშიაც ბ-ნი ვ—ნი იჯდა თავისის თანამგზავრ ქალითურთ, და დაიწყო თურმე ყვირილი:

„— აა, მაშ ეგ არის ის კახპა, რომელთანაც მთელს დღეებს ატარებ? ეგ არის განა! მერე ჰბედავ კიდეც მაგასთან ერთად ეტლით სეირნობას, ჩემს ჯინზე, შენის კანონიერ მეუღლისაზე?!

ეს დედაკაცი მივარდა თურმე ეტლში მჯდომ ქალს, გადმოითრია და შლიაპა ააგლიჯა.

„— რას სჩადიხარო, უთხრა თურმე ვ—ნმა, მაგრამ ხელი არ გაენძრია ცოლის შესაყენებლად, რომ ორი ლაზათიანი ალიყური გაეკრათმა. გაწეწილი და დაჩეული ქალი ძლივს წამოდგა ფეხზედ დარეტიანებულსავით. ამ დროს ნაცემ ქალთან ვიღაც ჭაღარა-შერეული კაცი მივიდა და შესძახა:

— მანია! რა ამბავია? რა დაგემართა?

ყმაწვილი ქალი მივარდა თურმე ამ კაცს, გადაეხვია და ტირილით შესჩივლა:

— შეურაცხება მომაყენეს, მცემეს და არ ვიცი-კი რადაო!

აქ გამოირკვა თურმე საქმე. ვ—ნის ცოლმა-კი არ შეინანა საქციელი და ჭაღარა-შერეულს კაცს შესძახა, რომ თუ თქვენი ცოლია ეგ დედაკაცი, თვალ-ყური ადევნეთ და დაარიგეთ, რომ სხვის ქმრებთან ეტლით არ დასეირნობდესო.

საქმემ სასამართლომდე მიაღწია. მოსამართლემ ვ—ნის მეუღლეს სთხოვა, რომ ბოდიში მოიხადეთ თქვენ მიერ შეურაცხებულის ქალის წინაშეო, მაგრამ ის არ დასთანხმდა თურმე და ამის გამო მოსამართლემ ოთხის დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა დამნაშავეს.

— ახირებული სანაძლეო ჰქონია ამას წინად ვორონეჟის ბაზარში ერთს რიგიანად ჩაცმულს ქალს მებულკესთან. ამ ქალს უთქვამს, რომ ბულკებს მეტად პატარებს აცხობთ, ერთის ლუკმის ტოლებს, და სამს კაპეიკს-კი იღებთო. ამ სიტყვებით შეურაცხებულს მებულკეს უპასუხნია, რომ «20 ბულკს მოგცემთ, თუ ხუთს ლუკმაზედ გაათავებთ ერთს ბულკსაო!» მამაცს ქალს აუღია ერთი ბულკი და გარშემო დახვეულ ხალხის სიცილზედ ჯერ ერთი უკბენია, მერე მეორე და მესამეზედ... ერთის ლუკმის ტოლა აღარ შერჩენია ხელში. ამას შემდეგ მოუხვევია ხელი სანაძლეოში მოგებულ 20 ბულკისათვის და გაუწევია შინისაკენ. ეს ქალი მაყურებელთ ტაშის ცემით გაუცილებიათ.

## სიყვარული და ქორწინება ამერიკაში

წერილები დუ-ვარინისა

### VII*)

თუმცა გაზეთები ჰკიცხავენ ამერიკელ ქალს, წრეს გადადიხარ, შენის სქესებრივის უპირატესობით ბოროტ-მოქმედებო, მაგრამ უფრო ხშირად თითონვე მხარს აძლევენ ამ ქალებს და სწორედ იმ საქმეში უმართავენ ხელს, რომლისათვისაც თითონვე ჰკიცხავენ. ჟურნალისტები თითქმის ყოველ დღე გუნდრუკს უკმევენ სილამაზეს, ჰბეჭდენ ჩრდილოეთისა, სამხრეთისა და დასავლეთის შტატების მშვენიერ ქალების სახელებს. ერთს ამისთანა წერილში „ას სამი“ მშვენიერი ქალია დასახელებული და ავტორი ამბობს, რომ ამ სიას შემდეგში შევავსებთ და კიდევ მივუმატებთ რამდენისამე ლამაზის ქალის სახელსაო. ამ სიაში სახელები განმარტებულიც-კია, მაგალითებრ: „ნელლი გაზელინი, სენ-ლუიელი, ამას წინად გარდაიცვალა 24 წლისა. იმის სილამაზის სახელი ისე იყო გავარდნილი, რომ დეპეშა იმის ავადმყოფობის მდგომარეობას ყოველ დღე აუწყებდა შეერთებულ შტატის ყველა ქალაქებს, ატლანტიკის ოკეანიდგან დიდ ოკეანემდე. ამ ქალს დედოფლად სთვლიდნენ სარატოგს, ნიუ-იორკს, ნიუ-პორტს და მისსურს. არა ნაკლების სახელით სარგებლობდა იგი აგრეთვე ტანისამოსის სიმშვენიერით“. მეორე სურათი, მისს მერი ბრაუნისა, ტენესსელისა, კაცს სწორედ სპარსეთის პოეტის ლექსის მოაგონებს: „იმის სახის სიმშვენიერე და სისრულე აგებულებისა მოქანდაკეს გაასცებს და მხატვარს აღტაცებაში მოიყვანს. იმის ნაზის პირისახის ფერი ვაშლის ფერსა ჰგავს, თვალებში ლაჟვარდი ცა ეხატება და მზეს-კი თითქოს თავისის სხივებით დაუოქროვებია შეუდარებელი თმები ყმაწვილი ქალისაო“.

„მისს მერი განდიო, ამბობს მეორე გაზეთი: დედოფლად ჩასათვლელია ნიუ-იორკსა, ბალტიმორსა და ფილადელფიაში. სახე მშვენიერი აქვს, აგებულება სათნოი, ისეთი, როგორსაც აღტაცებულნი პოეტნი აღმოსავლეთისანი მხოლოდ მომჯადოებულის სამოთხის ქალებს მიაწერენ“. მართლაც ასეთი ქება, რამდენსამე ასი ათას ეგზემპლიარად დაბეჭდილი, ყველა ახალგაზრდა ქალს დაასხავს თავს ბრუს. საზოგადოებრივი აზრი უბოდიშებს ყმაწვილს ქალს, თუმცა-კი ზოგიერთი ქალები ჰკიცხავენ: ეს ქალი კეკლუცია, დაუდგრომელი, ყიზიანი და სათვრთხილოვო. ქალი რომ ბოროტად ჰხმარობს თავისს უფლებასა და უპირატესობას, ამას ეჭვი არა აქვს. მაშასადამე რომ ქალს მიჰბაძოს, იმისებურად პირობაზედ მტკიცე არ იყოს და ერთი და ერთი მოწონებულს ქალს თავი დაანებოს, მას შემდეგ, როცა ეს ამბავი უკვე ქვეყანასაა აქვს, საზოგადოება ჰკიცხავს და კანონი სჯის. ყმაწვილს ქალს შეუძლიან უჩივლოს და მოსთხოვოს უარის თქმის გამო ნაზარალევი და ნაზიანევი და სასამართლოც შეიწყნარებს ამ თხოვნას, თუნდა ქალს საქმროს უარის თქმით არავითარი ზარალიც არ მოსვლოდეს. შეერთებულს შტატებში ცივილიზაცია რაც უფრო ვრცელდება, ზნე-ჩვეულებაც ფერსა ცვლილობს. ამ რამდენისამე წლის წინად სისხლი დაიღვრებოდა, რომელსამე ყმაწვილს კაცს რომ ქმრობაზედ უარი ეთქვა. დანა და რევოლვერი იყო ერთად-ერთი საშუალება არა-ერთგულის საქმროს დაბრუნებისა და შურის-ძიებისა ოჯახის შეურაცხებისათვის. მას შემდეგ ესეთი ზნე შეიცვალა და ესლა მხოლოდ ყმაწვილს კაცებს სასამართლოში აუტეხენ ხოლმე საჩივარს. ხოლო სათქმელია ისიც, რომ ზნე-ჩვეულების ასეთის ცვლილებით ყმაწვილს ქალს არაფერი დაჰკლებია. დიდის ჯარიმის გადახდა უფრო აშინებთ ზოგიერთ ყმაწვილს კაცებს, ვიდრე შეაშინებდა თუნდა მთელი გროვა ზარბაზნებისა, და ზოგიერთ ქალების შეურაცხებულს გულსაც ფული უფრო ამშვიდებს, ვიდრე უსარგებლო მსხვერპლის მოტანა და სისხლის დაღვრა.

ზოგიერთმა ამ გვარმა საჩივარმა თითქმის მთელის ამერიკის ყურადღება მიიქცია. ამ საჩივრების რიცხვი ყოველ წლობით უფრო და უფრო მატულობს. ამით სარგებლობენ ისინი, რომელთაც ყველგან ხელის გათბობა უყვართ და ყველაფრისაგან სარგებლობის გამოტანას შეიძლებენ ხოლმე. ცოლ-ქმრობრივი საქმე შესწავლული აქვს რამდენსამე ასს ვექილს, რომელნიც კარგს მოგებაში არიან და კარგა ბლომა ფულსაც იღებენ. ამისთანა საქმეებისთვის მჭევრი სიტყვებიც-კია შემუშავებული სასამართლოში წარმოსათქმელად და, რადგან ნაფიც მსაჯულთ მიენდობათ ხოლმე ასეთი საქმე განსახილველად, ათას გვარი ხრიკის მოგონილი ბრალდებულის გასამართლებლად. აქ, სასამართლოში, ხშირად ტრაგიკული და სასაცილო სცენები ერთმანეთში ირევა ხოლმე. აი მაგალითად ერთის დამცველის სიტყვას მოვიყვანთ, ამისთანა საქმის გამო სასამართლოში წარმოთქმულს:

— ბ-ნო ნაფიცნო მსაჯულნო! ჩემ მიერ აქ მოწვეულნი მოწმენი, იმათი ნათელი და დასაბუთებული სიტყვა მგონი ადამიანს ეჭვსაც-კი აღარ დაუტოვებს, იმ ადამიანს, რომელსაც კარგად აქვს შესწავლული მამაკაცის სიმზაკვრე. ჩემმა მრწმუნებელმა ქალმა გადაგიხსნათ თავისი გული და თავისი ქალწულებრივი ფიქრები გაგანდოთ. ცრემლების მომგვრელ და გულის ამაჩუყებელის სიტყვებით გითხრათ თქვენ, თავისს ძმებს, მამებს, ქმრებს, თუ რა ჯოჯოხეთური მოხერხება იხმარა, რა თავს-ბრუს დამსხმელი სიტყვები უთხრა ბრალდებულმა, როგორ დაიმედა და დაჰპირდა, რომ კარგად მოგრთავ ხოლმეო, მშვენიერს კოშკს აგიგებ, ლამაზად მოწყობილსაო, გამოსტყუა სიყვარული, გამოათქმევინა ქალწულს გულში ცხრა-კლიტულსავით შენახული საიდუმლო, ის საიდუმლო, რომელსაც... მაგრამ თქვენც ჩემზე კარგად მოგეხსენებათ და ამიტომ ზრდილობა ითხოვს დავჩუმდე და აღარ გავიმეორო. როცა ეს საიდუმლო გამოსტყუა და იმისი გული დაისაკუთრა, დაჰკონა ქალწულებრივს ბაგეზედ, იგემა ის სიტკბოება, რომელიც მხოლოდ იმის მშობელს დედასა ჰქონდა ნაგემი, ის სიტკბოება... მაგრამ თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ხშირად დადიოდა იგი ქალთან, იმავე საღამოს, მეორე დღეს, კიდევ საღამოს და ასე დაუსრულებლად. ვითარცა საქმრო, თავს ნებას აძლევდა და ხელსა ჰხვევდა ჩემს მრწმუნებელს წერწეტა ტანზედ. ქალს იმის მხარზედ თავი ნაზად ჰქონდა გადაჭდეული, თავისს გულს უშლიდა, თავისს ქალობრივს ცხოვრებას უამბობდა, თავისს ოცნებას, იმედს, სასოებას, ერთის სიტყვით, ყველაფერს... ყველაფერს, რასაც-კი ქალები ამბობენ ხოლმე ამისთანა დროს... მერე ის რაღას სჩადიოდა ამ დროს? იმედს აძლევდა, დაშაქრულს სიტყვებს ჩასჩურჩულებდა, ჰხიბლავდა და თავს-ბრუს ასხამდა იმ დრომდე, ვიდრე ვითომ-და რაღაც საქმისათვის სენ-ლუიში არ წავიდოდა. წასვლისას დაჰპირდა ჩქარა დავბრუნდებიო და არ დაბრუნდა-კი, მოგწერ ხოლმე წერილებსაო — და — არა სწერდა. ქალი სწუხს, წერილს წერილზე სწერს, მაგრამ ბრალდებული პასუხსაც არ აღირსებს. ბოლოს ატყობინებს, რომ ჩვენი ქორწინება მოუხერხებელიაო, და ჰპირდება... აქ-კი, ბ-ნო ნაფიცნო მსაჯულნო, თავი ვერ შემიკავებია, ისე მაქვს გული აღშფოთებული და გამწყრალი... ასეთის შეურაცხების სასყიდლად... ნათლად ვხედავ, რომ ბაგეზედ გიტრიალებთ ის რიცხვი, რომელსაც მიუსაჯავთ ჩემს მრწმუნებელს... სულ, წარმოიდგინეთ, ორას თუმანსა ჰპირდება.

— ორას თუმანს ნაღდად, უმატებს ბრალდებულის დამცველი.

— ვიცი, რომ ნაღდად, მაგრამ სულ ერთია, მაინც ორასი თუმანია. მერე-და რა დარჩება ქალს მას შემდეგ, როცა მე ჩემს შრომის ფასს გადამიხდის?.. ორასი თუმანი!.. არა, ბ-ნო ნაფიცნო მსაჯულნო, ეგ შეუძლებელია! ორას თუმანს აძლევს იმისთვის, რომ იმედი გაუცრუა, გული ორად გაუგლიჯა, იმედებული ჰყო სამუდამოდ უქმრო დარჩეს, რადგან ჩემი მრწმუნებელი იმათგანი არ არის, რომელნიც ორჯელ გასდევენ ხოლმე ბაგეს სიყვარულის ფიცის წარმოსათქმელად, ორჯელ მიუშვირებენ სხვა-და-სხვა მამაკაცს იმავ ბაგეს საამბორებლად, ერთს საქმროს რომ დაჰკარგავენ, მეორეთი მოიოხებენ გულს. დიაღ, ამდენის ცრემლის ფრქვევის სასყიდლად, ასეთის სიმწარის გამოვლისათვის გვპირდებიან სულ... ორას თუმანს!.. სამასი გადასწყვიტეთ, ბატონებო, სამასი... და გავათაოთ საქმე!

ბრალდებული თავისს დამცველთან მოილაპარაკებს რაღასაც და საქმე მორიგებითა თავდება.

*) იხ. „ივერია“ №№ 139, 140, 141, 143, 144 და 145.

## წვრილი ამბები

იმპერატორ ვილჰელმის ბრძანებისამებრ ახალი საპატიო დარაჯი შეუდგენიათ იმპერატრიცას დასაფარავად. ეს დარაჯი ოც-და-ოთხის კაცისაგან არის შემდგარი, რომელნიც მაღალის ტანისანი არიან და რომელთაც უფროსებად ერთი აფიცერი და ორი ფელდფებელი ჰყავთ. დარაჯს ფრიდრიხ დიდის დროის ტანისამოსი უნდა ეცვას: წითელი მუნდირი, თეთრი შალვარი და სამ-კუთხიანი ქუდი.

— ამ დღეებში ოტეილის, პარიჟს ახლო, თავ-შესაფარი გაუმართავთ მხცოვან იტალიელ და ფრანგ მომღერალ-მგალობლებისათვის, რომელნიც 60 წელზედ ნაკლებნი არ უნდა იყვნენ. ეს თავ-შესაფარი იმ $1\frac{3}{4}$ მილიონ მანათით გაუმართავთ, რომელიც როსსინიმ დასტოვა სიკვდილს შემდეგ. ამ ახლად დაარსებულს თავ-შესაფარში უკვე 25 ადამიანია მოთავსებული.

— გამოჩენილს ინგლისის რომანების მწერალს ვილკი-კოლინზის წვეთი დასცემია და ეხლა სიკვდილის პირად არის თურმე. კოლინზი ამ ჟამად 66 წლისაა.

— 70 წლის საფრანგეთის დრამატურგი ემილ ოჟიე ვეღარ დადის და უნუგეშო მდგომარეობაშია.

— განთქმული ედისონი ეხლა ისეთის აპარატის გაკეთებაზედ ჰმუშაობს თურმე, რომლის შემწეობით ადამიანი რამდენსამე ვერსზედ დაინახავს ყველაფერსაო. ედისონს იმედი აქვს, რომ ეს აპარატი 1891 წლის დამლევამდე მზად მექნებაო.

— განთქმულს ამერიკელს მილიონების პატრონს ვებს ამას წინად ამერიკა მოუვლია თავისის საკუთარის რკინის გზის მატარებლით. ვები არც ერთს სასტუმროში არ ჩამომხტარა, რადგან ყოველივე მოწყობილობა ჰქონდა თურმე მატარებელშივე. ეს მოგზაურობა ვებს 200,000 მანეთი დასჯდომია.

— ბრუსლაველი პროფესორი შვარცი ამბობს, რომ ყინულის კარგა ხანს დაუდნობლად შენახვა შეიძლება სულ უბრალო საშუალებით. ამ საშუალებით მეც შევინახე ორვა დღის განმავლობაში ერთის ავადმყოფისთვის ეხსი გირვანქა ყინული. ეს საშუალება იმაში მდგომარეობს, რომ შესანახი ყინული ჯამში უნდა ჩასდოთ, ქოთანში, ან რომელსამე ღრმა ჭურჭელში, რომელიც ზემოდგან თეფშით უნდა დაიხუროს. შემდეგ ეს ჭურჭელი ბალიშზედ უნდა დასდგათ და ზემოდგანაც ბალიში დააფაროთ. ბუმბული სითბოს არ შეუშვებს შიგნით და ყინულიც ამიტომ ჩქარა ვეღარ დადნება.

— ხუროთ-მოძღვარ ეიფელისათვის ამას წინად ახირებული თხოვნა მიურთმევიათ ახალად ჯვარ-დაწერილს ყმაწვილს კაცსა და ქალს. უთხოვნიათ, რომ ნება მოგვეცით პირველი ღამე თქვენ მიერ

აშენებულს კოშკზედ გავატაროთ, იქ გაკეთებულს ოთახშიო... ასეთი ახირებული თხოვნა იმითი განუმარტავთ, რომ გვინდა ქვეყნის ყდრიამულს მოშორებულნი ვიყვნეთო.

— ვინ დადის სულ ფიქრში?— აი ამაზედ პარიჟის „Petit journal pour lire“ რა პასუხს იძლევა: მთელს თავის სიცოცხლეში ფრაკით დადიან გერმანიაში მემუსიკეები, ინგლისში— კლუბების წევრები, რუსეთში— ლაქიები, ავსტრიაში— უბრალო მოხელეები და საფრანგეთში... რესპუბლიკის პრეზიდენტი კარნოო.

# დეპეშა

11 მკათათვე

პეტერბურგი. გუშინ დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ცოტათი უკეთ შეიქმნა, სიდამბლით გაკავებულის მარჯვენა ფეხის განძრევა შესძლო და წინანდელზე ნაკლებად ერევა ძილი, დიდი მთავარი ილევძებს თითონ, ყველასა სცნობს. ღამე კარგად გაატარა; ტემპერატურა 36,6 აქვს; მაჯა წუთში უცემს 48.

სიმბირსკში გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და მთარგმნელი დ. დ. მინაევი.

პარიჟი. „Republique Française“ იუწყება, რომ შაბათს უმაღლესი სასამართლო განკარგულებას გამოსცემს, რომლის ძალით ბულანჟესა და იმის ამხანაგებს უფლება ჩამოერთმევათო. სამართალს ვინც დაემალება, იმას ჩამოერთმევა სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლება. ამიტომ შაბათიდგან მოყოლებული ბულანჟეს, როშფორსა და დილიონს ნება არა აქვთ კენჭი იყარონ და იმათი ქონება შეკრული იქნებაო.

სტამბოლი. მეფე მილანი დღეს წავიდა ბელგრადს, სადაც ათს დღეს დარჩება.

ლონდონი. საპარლამენტო კომისიამ კიდევ 36,000 გირვანქა სტერლინგი მიუმატა წლიურად პრინც უელლისას. სამაგიეროდ იმის შვილებს ჩამოერთვათ ჯამაგირი. დედოფალს კომისიამ უფლება მისცა ითხოვოს ჯამაგირი თავისის სხვა შვილიშვილებისათვის, მაგრამ დედოფალმა ამაზე უარი განაცხადა.

12 მკათათვე

პეტერბურგი. დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე უკეთ არის. მისმა უმაღლესობამ რამდენიმე სიტყვა მკაფიოდ წარმოსთქვა; მადაც გაეხსნა, და თავს უფრო ღონივრადა გრძნობს. დიდი მთავარი რამდენსამე ხანს სავარძელში იჯდა. ხანდისხან თავისუფლად სუნთქავს. ღამე კარგად გაატარა. ტემპერატურა 37, მაჯა თითო წუთში 48.

ვენა. დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე უკანვე დაბრუნდა პეტერბურგს და დღეს ვენაში გამოიარა.

გაზეთები იუწყებიან, გითომ რისტიჩს დამბლა მოსვლია.

ლონდონი. ლორდების პალატამ შეიწყნარა ბილი იმის შესახებ, რომ დაარსებული იქმნას მეურნეობის სამინისტრო.

„რეიტერის სააგენტოს“ დეპეშით ატყობინებენ სიმლიდგან, რომ ინდოეთის საუკეთესოდ დასაცველად, იქაურ სახელმწიფოთა, ყველა ერთად მზადა ჰყავთ 30,000 ჯარის კაცი. მომეტებული ნაწილი ამ ჯარისა ცხენოსანია.

პეტერბურგის ბირჟა, 11 მკათათვე.

| | მყიდველ-ნი. | გამყიდვე-ლნი. | გაყიდუ-ლნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 76 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 151 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 263 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | $435^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## ვაჭრობადები ცნობანი

ნირხი

1 მკათათვიდამ 16 მკათათვემდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | $3^1/_2$ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3^1/_2$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

# განცხადებანი


„ს. ჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—20)

იყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ

въ образцахъ,

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

კერძო ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაშავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს.

ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილის ქუჩა, ბექნაზოვის სახლი, № 103.

(10—9)

მის. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—8)

კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყოველფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაეთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზიანი და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—12)

დიდი სააბრეშუმო ქარხნები

მოლტიფაოში (კორსიკის კუნძულზედ) და ვიგანს (გარდში)

ცელიულიარის აბრეშუმის თესლი (პასტერის სისტემისამებრ)

BERTRAND ET ALOISI

ხამ-მისხლიანი ჯური




ხამ-მისხლიანი ჯური

ქვითელი და თეთრი პარკი.

ვისაც Bertrand et Aloïsi-ს თესლის ყიდვა ჰსურ, მიჰმართოს ტფილისის აბრეშუმის სტანციას 1889 წლის ოქტომბრის თვიდგან დაწყებული. (10—2)

ЗАВОДЪ

МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ




ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже солдатскаго базара.

ვჰყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—46) ა. თუთაევი


Доз. ценз. Тифлисъ 12-го Іюля 1889 года. სტამბა გ. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე